№ 61. 21 მარტი, შაბათი. 1866—1881 21 მარტი, შაბათი. № 61.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გალაკვინის პრაბსპექტზეთ. ე. ბუხარასკის სახლებში ალუბის ქვეშთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებასა“ „ევროპის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებასა“ „ევროპის“ აგენტთან ი. ჭეონიასთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებასა“-„ევროპის“ ფასი

		წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროებასა“ და „ევროპა“ ერთად		14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე	„დროებასა“	9 მან.	5 მ.	3 მ.
	„ევროპა“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი ასოზე შვიდნახევარი კაპ.

თუ ხანგრძლივად მოითხოვს, რედაქცია გააწყობს და შეამცირებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს აკლრს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებასა“-„ევროპის“ აგენტთან.

ფასი ნომერი „დროებისა“ დაბს 5 კაპ.

ცალკე ნომრები „დროებისა“

თფილისში ისყიდება: შაევრდოვის გაზეთის სააგენტოში, აზნაურეოვის თამბაქოს მაღაზიაში, ბრიკეროვის წიგნის მაღაზიაში, ალუთინოვის მაღაზიაში (ძუკის ხიდს გალმა, ფარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ), შუა ბაზრის თაღში (ჯანჯულაზოვის სახლებში კანდიტერის მაღაზიაში) და თეითონ რედაქციაში (პროსპექტზე თაღ. ივ. მუხრანსკის სახლებში).

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში და ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა ფოთი-თფილისის რკინის გზის ეაგონებში კანდუქტორებთან.

ტელეგრამმები

სალსთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი

პეტერბურღი, 19 მარტს. ხელმწიფე იმერატორმა მტკიცე გარდაწყვეტილება მიიღო, რომ მოუსპოს ყოველი გზა ბოროტ-მოქმედთა განზრახვას, აფეთქებას ისინი ძირიანად და დაიცვას სატახტო ქალაქი დანაშაულობათაგან; ამ მიზნით ხელმწიფე იმპერატორმა ინება მმართველობის დასახმარებელად პეტერბურღის მცხოვრებთაგან ამორჩეულ პირების მოწვევა; ამ პირთაგან შედგენილი იქნება განსაკუთრებული რჩევა პეტერბურღის გრადონაჩალნიკთან; რჩევაში მიიღებს მონაწილეობას აგრეთვე პეტ. ქალაქის თავი. ყოველ გარდაწყვეტილებას, რომელსაც რჩევა მიიღებს, გრადონაჩალნიკი იმ წამსვე სისრულეში მოიყვანს. 228 უბნიდამ (ავალოდკინდამ) თითო წევრი იქნება ამორჩეული; ესენი თავის 25 წევრს ამოარჩევენ რჩევისას და 25 კანდიდატს. ამათი სიახელმწიფეს წარედგინება დასამტკიცებელად. დღეს დაიწყება კენჭისყრა.

პეტერბურღის ბირჟა, 18 მარტს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	— 96	— „
მეორესი	— 93	— „
მესამესი	— 93	—50
მეოთხესი	— 93	—12
აღმოსავლეთის პირვ.	— 92	—37
აღმოსავლეთის მეორე	— 92	—37
აღმოსავლეთის მესამე	— 92	—37
ოქრო, 1/2 იმპერიალი	— 7	—93

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — „—„

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— 224	—50
მეორე სესხის	— 217	—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— 24	—75 პენსი
ბამბურღი	— 210	—25 ცენტი
პარიჟი	— 262	— „ სანტიმი
ვენა	— 129	—50 ჰფენიგი
კავკასიის კერასინი	— —	—

ხელმწიფის მიცვალების ამბავი.

— ბაზ. „მინუტაში“ სწერია, რომ 8 მარტს ვასილიევის კუნძულზე ამოუჩენიათ ერთი თამბაქოს მაღაზია, სადაც სოციალისტები იყრიდნენ თავსაო. პოლიცია და მეზობლები ხედავდნენ, რომ ამ თამბაქოს მაღაზიაში საქონელი უკანასკნელ დროს თითქმის არ იყო, მაგრამ მაინც დაიარებოდნენ ვიღაც ყმაწვილი კაცები და ნაშუალამებამდის რჩებოდნენ. მაღაზია დაქირავებული ჰქონდა ერთ ახალგაზდა ქალს დედით და პატარა შვილით და ქირას სახლისას მუდამ ვადაზედ და დიდსაც იხდიდა. პოლიციამ გასჩხრიკა მაღაზია და ნახეს სხვა და სხვა საეჭვო ქაღალდები, მიწერ-მოწერა, ფოტოგრაფიული სურათები და აუარებელი ტანისამოსი, პარიკები, დამზადებული წერ-ულვაშები და სხვ. სახლის პატრონები თუმცა არ გასტყდნენ, მაგრამ მაინც დაატუსაღეს.

— პეტერბურღიდამ სწერენ ერთ ნემეცურ გაზეთში, რომ ხმები, ვითომ რისაკოვი გატყდაო, უსაფუძვლო ხმებიაო. ყოველ კითხვაზედ რისაკოვმა დაცინვით უპასუხაო. დაცინვითვე იხსენიებს ერთი დატუსაღებულთაგანი, რომელიც 28 თებერვალს დაიჭირეს, იმ ცდას პოლიციისას, რომ პირველ მარტს მომხდარი უბედურება არ მომხდარიყო. „მე განა არ ვიცოდი, რომ ჩემი ბრძანება ასრულდებოდაო, თუმცა მე დაჭერილი ვიყავიო“, ამბობს თურმე ეს ტუსაღი. სწორეთ იმ საათს, პირველ მარტს, რომელ საათზედაც, ამ ტუსაღს, ჩვეულებისამებრ, დაასეირნებდნენ სატუსაღოს ეზოში, სწორეთ იმ საათს მოხდა ხელმწიფის მკვლელობა. მალ-მალ შეჩერდებოდა თურმე ის კედელთან და ყურს უგდებდა რაღაცას. როდესაც ჩვენების ჩამოართმევის დროს ამ გარემოებაზედ ჰკითხეს, იმან მიუგო დაცინვით, რომ „ყურს ვუგდებდი აფეთქების ხმასაო, მაგრამ, სამწუხაროდ ველარ გავიგონეო“. ვინ არის, რა კაცია, ჯერ ვერ შეუტყვიათ; მაგრამ იმაში კი დარწმუნებული არიან, რომ ეს უმთავრესი წინამძღოლია რუსის რევოლიუციონერებისა და ხელმძღვანელი ხელმწიფის მკვლელობისა.

— „ქელნის გაზეთში“ იწერებიან პარიჟიდამ: პარიჟის პოლიციამ დაატუსაღა ამ დღეებში ერთი რევოლიუციონერი ჩერქეზოვი, 35 წლისა, თფილისელი, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდენ, და რომელიც ითვლება აქაურ რევოლიუციონერების მოთავედ. ეს ჩერქეზოვი მაშინვე გაგზავნეს შვეიცარიის სამზღვრისაკენ. ეხლა უდარაჯებენ ბარტმანს, რომელიც, ამბობენ, აქ ჩამოსულაო.

— სასამართლოს დანიშნულებით რისაკოვს იცავს ვექილი შაკოვსკი, მიხაილოვს — ხარტულარი, ებრაელს ქალს — ბერკე; ფელიაბოვი თეითონ იცავს თავის თავს. ამ საქმეში სამოცდა-ორი მოწამეა. საქმე შეადგენს ხუთ ტომს. ბეჭდვის (გაზეთების) წარმომადგენელნი შეიძლება იქმნენ შეშვებულნი სასამართლოში.

«დროების» ფელტონი, 21 მარტს.

სიზმარი.

— „მშვიდობით! მშვიდობით!“ მეუბნებოდა ყელზე გადახვეული მოხუცი დედა, როდესაც ვემშვიდობებოდი იქ წასასვლელათ, სადაც თავისუფლათ შეიძლება ამოსუნთქვა... ე. ი. იქ, სადაც ცხოვრება და ჰაერი მოწამლული არ არის.

რა გული დავაჯერეთ ორთავემ ტირილით, ერთჯერ კიდევ ვუთხარი: — „მშვიდობით!“ და გამოვემგზავრე იმით, რაზედაც ალექსანდრე დიუმამ სთქვა: „ერთ მილიონ ფრანკს მივცემ, თუ ვინმე იმაზე საძაგელ რამეს მოიგონებსო“, ე. ი. რუსული ტროიკით.

ბევრი ყანყალისა და ჯაგჯაგის შემდეგ როგორც იყო მომიყვანეს ახლა ინგლისების მოგონილ „არაბაზე“ და აქ ერთი კიდევ ამოვისუნთქე და „მშვიდობით“ ვუთხარ ყველაფერს, რაც ჩემთვის მშობელის და სამშობლოს მომაგონებელნი იყვნენ.

აქაც ცოტა არ იყოს ათას ნაირმა ხალხის ყაყანმა და იმაში მოსამსახურე პირების წამ-და-უწუმ შებღვერით ბილეთის თხოვნამ გამიჭირვა სული.

ოჰ, მადლობა ალლახს-თქო, ამოვიოხრე, როდესაც მიუახლოვდით უკანასკნელ ჩვენ გადმოსახდომ ბინას.

რა მიველით ბინაზე, გვითხრეს: „თქვენი წასასველელი ცეცხლის გემი ხვალ გადისო“ და მოგვილოცეს, რომ „ბევრხან არ მოგიხდათ ცდაო“.

თან-და-თან უფრო მომემატა სურვილი, რომ მალე მიესულვიყავ ბინაზე და ამომესუნთქა თავისუფალი და არა ბაყაყების საბატონო ამყაყებული ჰაერი. ამისათვის სამი საათით ადრეც გავეშურე გემისკენ.

აჰა გავიდა ეს მომაბეზრებელი დროც და მოახლოვდა „ჟამი წასვლისა“.

ბეგონებოდათ, მე და ჩვენ ცეცხლის გემს ერთნაირი დარდი ვვაწუხებდა, რომ ორივე განუწყვეტლივ ვხვნეშოდით და ერთ ამბავში ვიყავით.

ბოლოს, როგორც იყო დიდი ხვნეშით და ერთი ანბით გაემგზავრა ჩვენი ცეცხლის გემი იქითკენ, სადაც უნდა გადამსხდარვიყავით, უფრო დიდ ცეცხლის გემში...

ვნახოთ, მიგვიყვანეს ერთ მშვენიერ ქალაქში, რომელსაც შორიდან მშვენიერი მაღალი და კლავი-კლავს გადადებული ტყიანი მთები ამშვენებდნენ.

ხსენებული ადგილი, თუმც თითონ ჭუჭყიანი იყო და ხალხსაც და ქალაქსაც რაღაც მყაყე შმორის სუნი უდიოდა, მაგრამ სამაგიეროთ ბუნებას ისე უხვად ჰყავდა დაჯილდოვებული, რომ კარგი პატრონის ხელში მშვენიერება რამ იქმნებოდა...

ჩემმა მეგობრებმა მოინდომეს მთელი ამ ადგილების დაევლა და იმათ რიცხვში მეც მეცამეტესავით გამიყოლეს, პატარა ნავებით გაგვასხეს გარეთ და ვიწყეთ ხეტიალი.

რამოდენიმე ნაბიჯი გადავდგით თუ არა, დაგვხვდა ერთი მშვენიერი ბაღი, რომელმანც ჩვენი ყურადღება მიიქცია და აგვიტეხა ცნობის-მოყვარეობა.

ყველამ ერთ-ხმათ გადაწყვიტეთ, რომ უთუოთ დაგვეთვალიერებინა ყველაფერი. ჩვენი სურვილის დასაკმაყოფილებლათ აღმოგვიჩნდა ერთი იმ ბაღის პატრონთაგანი — დამხმარებელი.

შეგვიძლია დასათვალიერებლათ ყველა საუცხოო სანახავისა. მართლა ღირდა იმათი ნახვა.

ვნახეთ, იქ მრავალი გამხმარი თავები ეყარნენ ერთ კუთხეს და თივ-თ იყვნენ გატენილნი. იქვე ახლოს ერთი დიდი გამხმარი ვირის თავი იყო წმინდა მაეთულით დაკიდული და თუ

— 1 მარტის შემთხვევის შესახებ ლონდონში გამოსულა 7 მარტს სოციალური ჟურნალი „Свободная Россія“, ფართო წითელი არშიით შემოვლებული და მეტათ ცხარე რევოლიუციური სტატიით ზემოხსენებულ შემთხვევაზედ.

ახალი ამბები.

—

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზოგიერთ Тфилисის ვაჭრებს უკისრნიათ თაოსნობა და განზრახვა აქვთ, რომ მიცვალებულ ნეტარ-ხსენებულ Імператорის Алексанდრე მეორის სახსოვრად გამართონ Тфилисში ან რომელიმე სასწავლებელი (коммерціულს ამბობენ), ან საავათმყოფო და ან ძეგლი აუგონ.

* * *

ბ. პაშინოს უკანასკნელი ლექცია, რომელიც ამ თვის 14-ისათვის იყო დანიშნული, „Крупчатка“-ის სტარშინების გარდაწყვეტილებით, გადადებულია დღეანდელ დღისათვის. Дასაწყისი ჩვეულებრივ დროს, ე. ი. საღამოს 8 საათზედ.

* * *

Шარშანდელმა კალიამ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ალაგებში სადაც იმის გაწყვეტა ვერ მოასწრეს, შარშან შემოდგომაზედვე დასდო თესლი და ამის გამო მთავრობამ მაშინვე მოახდინა განკარგულება, რომ აეხნათ ეს ალაგები და თესლი მოეგროვებინათ.

Ამ საგნის შესახებ გაზ. „Кавказъ“-ში იწერებიან ახლა, რომ ყველაზე უფრო ბევრი თესლი კალიას დაუდვია Бაქოს გუბერნიაში მდ. Арაქსის ნაპირებზე, Зეოქჩაის მაზრაში, მიღის უდაბნოში; Зანჯის და Тфილისის გუბერნიებში. Уარაიახში და სხვ.

Ამ ადგილებში Шარშან შემოდგომაზედვე ადმინისტრაციის განკარგულებით გამოყვანილ ხალხს 388 ფუთი კალიის თესლი მოუგროვებიათ.

Ახლა, როგორც ცნობა მოვიდა, ათბა თუ არა, კალია გამოჩეკილა, სხვათა შორის, Тфილ. გუბ. Წყნეთის საზოგადოებაში და მთავრობას მოუხდენია განკარგულება, რომ ამის გასაწყვეტად ახლავე გამოიყვანონ ხალხი.

* * *

Ქუთაისის გუბ. �კრიბის მხრიდამ მივიღეთ შემდეგი ამბავი:

„ركრი კვირა არ არის მას იქეთ, რაც გაქურდეს ეკკლესია Сოფ. Ბყეპში. Ეხლა ამ კვირეში ზედის-ზედ გაქურდეს სამი ეკკლესია: ერთი ახალდაბაში, მეორე Ქითხიჯში, მესამე Ჯონიაში!

„Მამასახლისებმა ბევრი იტრიალეს, მაგრამ ვერა გააკეთეს-რა, ვერც ხევის-თავებმა (მიკვირს ღმერთმანი, ეს ხევის თავები რას აკეთებენ! Ეს დალოცვილი ხალხი იმისთანა კაცებს ირჩევენ ხევის-თავად, რომლებიც ღამე კარში ვერ გამოდიან); ბოლოს, როგორც იქმნა, ისეც უცაბედათ, ნახეს ერთი გლეხ-კაცისას ბარძიმ-ფეშხუმი, სანთლები და სხვ., აუკრეს მხრები და წამოიყვანეს Ქუთაისში.

„Ამ ქურდობაში ბევრი ურევია და ამ დაჭერილმა გლეხმა გასცა ამხანაგები (მოთავე, რასაკვირველია, აზნაურის შვილებია).

„Ეხლა გიამბობთ მათ ეშმაკობას: როდესაც მოიპარავდნენ ან ღორს, ან ბატს, ან ინდაურს, მიაბარებდნენ ერთს თავის ამხანაგს გასაკეთებლათ და დაარქმევდენ ნაპარავს შემდეგ სახელებს: ღორს—ოქროპირს, ბატს—როსტომს, ინდაურს—ბლალოჩინს და სხვ. Დაუძახებდა ამხანაგი:

— Როსტომი მზათ არის?

— Ბლალოჩინი მანდ ბძანდება?

— Ქიო! თუ დაიძახებდნენ, წავიდოდნენ ყვირილით:—„ხეირია, ხეირიო!

„Ახლა მეორე საგანზე:

„Ყოველგან ხსნიან სკოლებს და ჩვენ ركრიბლები კი ვართ პირ-დაღებული. Ეგებ გეგონოსთ შეძლება არ არ გექონდეს? Შემცდარი იქნებით. Ერთი ვინმე რომ ამობძანდეს მაგალითად სოფ. Სოჩხეთში, სადაც ასორმოც-და-ათი მოსახლეა, და უთხრას რამე ხალხს, მაშინვე დაეთანხმებიან; მაგრამ სად არის ეს შემგონებელი.

Სოფ. Სოჩხეთში რომ სკოლა გაიხსნებოდეს, ისარგებლებს მთელი ركრიბა იქიდამ მოსწავლეები Ქუთაიში ბევრია და მშობელმა ყოველ პარასკევს ფქვილი და სხვა. უნდა უზიდოს, რისგანაც ცდება თავის მუშობას. Მაშინ ამ ვაებასა გადარჩება. Სოფ. Სოჩხეთი მდებარეობს შვიდ სოფელ შუა; ყოველისფრით შემკობილია: გზა-ტკეცილი გვერდზე ჩოუარს, აგრეთვე ახლად გაპლანული რკინის გზა, ამბობენ აქ სტანცია უნდა კაკეთდეს, მისვლა-მოსვლა ადვილია.

„Ურიგო არ იქნება რომ ამას ყურადღება მიექციოს ვისგანაც რიგია.“

„დროების“ კორრესპონდენცია

—

ფოთი, 16 მარტს. Სწორეთ გასაჭირია ამ ჩვენ Фოთში ცხოვრება: ყოველთვის რომ იშრომო კაცმა, ხომ მაინებელია აგებულობისათვისაც. Ის ერთი თუ ორი საათი, რომელიც დღის განმავლობაში თავისუფალი გაქვს, არ იცი როგორ გაატარო სიამოვნებით. Რას იზამ კაცი სად წახვალ? Მიხვალ კლუბში,—თუ ქალალდის თამაში არ გიყვარს, თუ არ გესიამოვნება გულ-გაღეღილ ქალებთან თელი ღამე გიჟივით ხტუნვა, ამინდის შესახებ საუბრის გამართვა, თუ არ გესიამოვნებათ ჩვენებური ქალების დამტვერეული რუსული ლაპარაკის სმენა, უნდა ქუდი დაიხუროთ და გამობრძანდეთ გარეთ: ისე „განათლდენ“ აქაური ჩვენებური ქალები, რომ თქვენ ქართველი ქართველათ რომ დაელაპარაკოთ, თუ ორი ღერი მაინც იცის რუსული, უსათუოთ რუსულათ გიგვბთ პასუხს. Шართული ლაპარაკი რა საკადრისია! Прогресია, Прогресი, Маშ რა ჯანაბაა!

Იქნება ინებოთ ბულვარზე გასეირნება,—იცოდეთ, რომ ეს სიამოვნება ტალახში დაფლვის ფასათ დაგიჯდებათ.

Ამ უკანასკნელ დრომდის იმედი გექონდა Ქუთაისის ქართული ეითამტრუპისა. Ბეეგონა და ვნუგეშობდით, რომ ის ხან-დის-ხან მაინც გადმოგვავლებდა წყალობის თვალს; მაგრამ ამ ტრუპპამ ერთის წლის უიმედო სიცოცხლის შემდეგ განისვენა საუკუნოთ.

ჩვენმა პოლიციამ როგორც იქნა მიაგნო სიბრძნის კარებს: მიხვდა თუ როგორი მოსარიდებელი მტერია ხან-და-ხან Ქაპარჭინის და Პალეოსტომის ტბები ქალაქისათვის. მაგრამ ამ უბრალო გასაგები საქმის მიხდომა ერთოფ ძვირათ დაუჯდა ქალაქის მცხოვრებლება: ეგონებ არ შევცდეთქვა, რომ გასული წყალ-დიდობისაგან ასი ათასი მანეთის ზარალი მაინც ნახა ქალაქმა. Სამწუხარო იქნება, თუ ყოველი ხეირიანი რამესი გაკეთება ქალაქის სასარგებლოთ ასრე ძვირათ დაუჯდა მცხოვრებლებს, როგორც ამ შემთხვევაში.

Საცა საჭირო იყო, Рიონის და Ქაპარჭინის პირათ, ეხლა ყველგან გააკეთეს კარი საიმედო კარები (шлюзы).

Ეს კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როგორც ეტყობა დამბას კი არ უპირებენ შეკეთებას. Ეს უკანასკნელი ზოგიერთ ადგილს ისრე გაფუჭებულია ზედ გადამავალ დროგების და ურმებისაგან, რომ წყალ-დიდობაზედ კიდეე არ ასცილდებათ განსაცდელი Фოთის მცხოვრებლებს. Ძარგი იქნება, რომ შესახებ ამისა დადგინდებოდეს ისეთი წესი, როგორიც ადრევე იყო: ვისაც ძალიან ესაჭიროება ზედ ურმით გადასვლა, მაგალითებრ საშეიმასთან ვინმე ხმას ამოიღებდა მაშინვე მავთული გაექანებოდა და ცარიელი თავი ნძრევას და ქანვას დაიწყებდა. მეორე ადგილას გვაჩვენეს ერთი დიდი ფუტკრის სკა და გვითხრეს, რომ „ეს სკა ამ ქალაქის ბატონს ეკუთვნისო“ და გაგვაკვირვეს იმითი, რომ „ამ სკის ფუტკრები ორ ფეხებიანი არიანო და იმნაირი წყობილობა აქვთ, როგორც ადამიანებსაო.“ Ბვითხრეს კიდევ, რომ „ამ სკას ჰყავს ერთი თავი და ამ თავს ბევრნაირი მომხმარებლებიო; თავს ჰყავს შორს, სულ შორს ამ ქალაქიდგან მოცილებით, რამდენიმე დიდრონი ფუტკარი და ამ ფუტკრებსაც თავიანთი თანაშემწეები, რომლებიც თავიანთი მოახლე სხვა ფუტკრებით გაფანტულნი არიან სხვა-და-სხვა მაღალ მთიან ადგილებში, სადაც მშვენიერი ნოყიერი ყვავილები არისო ამ ყვავილებს, როგორც წურბელი ისე სწოვენ და მერე, რამდენიმე ხნის შემდეგ, მოჰფრინდებიან და დანარჩენი ფუტკრებით თაფლს ამზადებსო.“ Ამათ სხვა ფუტკრებზე უფრო იციან ადამიანების კბენა და ნაკბენს ისე კი არ გაუსიებენ, როგორც სხვა ფუტკრებიო. Როგორც წურბელი ისე ჰკბენენ და სისხლიდგანა სცლიანო.

Ბევრჯერ ამათგან ნაკბენ და სისხლიდგან დაცლილ ხალხმა იჩიენლეს ამ ფუტკრის პატრონთან, რომ სკა სხვაგან გადეტანათ, რადგანაც იჩაგრება და იხოცება ხალხიო; მაგრამ, რადგანაც ამ ფუტკრების პატრონს დიდი შემოსავალი აქვს სკისაგან, შედარებით სხვა სკებისაო, ამისათვის ეძნელება გადატანა და რომ ძალა გამოულიოს ბატონმა ფუტკრებს, რომ შემდეგში ამათ ნაკბენმა ისე არ გაამწაროს ხალხი, ამისათვის ხშირათ გზავნის თავის მოჯამაგირებს, ახილვინებს სკას და ფუტკრებს აღარ უტოვებს სარჩოს; ამისათვის ფუტკრები რჩებიან მშიერი, ვიდრე ვარეთგაგზავნილი ფუტკრები სხვა თაფლს არ მოუტანენ, დამშეულები ულომოთ რჩებიან და ამისათვის ისე სუსხიანათ ველარ ჰკბენენ ხალხსაო. Და სხვაფრივ კი არაფერით ეშველა ხალხს ამათი კბენისაგან განთავისუფლებაო.“

Ამ სკის ბატონს სხვაგანაც ჰყოლია უფრო დიდი მოზიარე და ამ მოზიარესთან ყოფილა ამ ფუტკრის ჯიშის სხვა ნაირი ფუტკარი: მარტო მთებზე აწყვია ამათი სვები; ესენი სულ სხვა ნაირი ბალახიდგან და მიწიდან აკეთებენ თაფლსაო, და ამ დიდი მოზიარისაგან ისეთ ნაირად დაცულია ის ფუტკარი, რომ ვერაფის მოუხერხებია ამ კბენარა ფუტკრებისაგან გაენთავისუფლებინათ ხალხი.

Მერე მიგვაყენეს იქვე ახლო, ერთი ბინძური ადგილი გვაჩვენეს, სადაც ათასნაირი საძაგლობა იყო მოგროვილი; ამ სიბინძურეზი ეხვია სხვა-და-სხვა კოლო, ბუზები და ერთი მზუილი გაჰქონდათ. Ბვითხრეს, რომ ეს კოლო-ბუზები ამ სიბინძურის მცველები არიან და ამითვე რჩებიანო, და თან ესენი ჰყარაულობენ იმ ფუტკრის სკას, რომ უცხო მავნე ფუტკრები არ შეერიოს და ერთმანეთი არ გასწყვიტონ და არაფერი ავნონო.

Ქოლო-ბუზებში ერია ერთი შავი უშველებელი ცხენის ბუზი და ერთიც გრძელი ყვითელი მატლი. Ყვითელ მატლთან დაკოცავდა თეთრი ანკარასავით მატლი და ეს ამდენი კოლო-ბუზები სულ ამ თეთრს თავს ევლებოდნენ და ზედ დაჰფრინავდნენ. Თურმე ეს თეთრი მატლი ამათში ყველაზე უფრო პატივ-საცემია და იმას თავიანთებურათ თაყვანსა სცემენ.

Ამ გასაოცარი სანახაობის შემდგომ, განცვიფრებული დავეხეტებოდით ბაღში და ამ სიარულში დაგვხვდა მიწაზე დავარდნილი ერთი ფუტკარი, რომელიც ველარც დაფრინავდა და ეე-

ნებელი მასალებით მოეჭრეებს, მათ იმ პირობით მიეცესთ გადასვლის ნება, რომ თავისივე წამხდარი დამბა, მაშინვე თითონ შეასწოროონ. Uრიგო არ იქნება, ჩემის აზრით, ამ გვარი წესის დასაცველათ და აგრეთვე კარების თავ-თავის დროზედ გასაღებათ და დასაგდველათ ქალაქი იქირავებდეს ცალკე პირებს, როგორც ადრე-ვე იყო.

ჩვენი ქუჩები წყლისაგან წალეკის შემდეგ ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ ზოგიერთ ქუჩებში მეფაიტონეები არაფერ ფასათ არ წაგიყვანენ. ღმერთმა დაგიფაროსთ ზოგიერთ ქუჩებში ღამე გავლა, თუ გინდა, რომ არც კისერი მოიტეხო და არც ფეხები. ქუჩების გვერდით რუები სავსეა ყოველნაირ სიმყრალით. Uს გარემოება არავის ყურადღებას არ იზიდავს, თითქო რიგიც ასეა, რომ იყოსო, მაშინ როდესაც ზაფხული კარზედ გადგია.

მივაქცევ ჩვენი ქალაქის ეითამბრუნველების ყურადღებას შემდეგ გარემოებას: Uოველგან, საცა კი ხიდზედ გასვლისთვის ქალაქი ფულს იხდეევინება, დადგენილია ის წესი, რომ ხიდის თავებში უნდა იყოს გამოკიდული ტაქცია, რომ ყოველ გამვლელს ჰქონდეს საშუალება გაიგოს დადებულ ფასს ახდეევინებენ მას, თუ მეტს. Uამ წესს ჩვენი რიონის ხიდი, არვიცი კი რატომ, მოკლებულია, მაშინ როდესაც Uოთში უფრო საჭიროა ამგვარი წესი, ვინემ სხვაგან სადმე, რადგან იქ ჩვენი წესების უცოდინარი უცხო ქვეყნის ხალხი ყოველთვის ბევრია გამვლელი. ხშირათ სამ კაცს კაპეიკის მაგივრათ შაურს და ორ შაურს ახდეევინებენ და შაურის მაგივრათ სამშაურს და აბაზს.

Uასასრულ ერთ რასმე ვიკითხავ: ნეტავი თუ არის სადმე, (Uოთს გარდა, რასაკვარველია), ისეთი ქალაქი, საცა ფარნებს ქუჩებში და ხიდებზედ საშვენებლათ აკეთებენ და არა გასანათებლათ? ჩვენს ხიდზედ, რომელზედაც სივიწროისა გამო ორ ურემს ერთმანეთისათვის გვერდის შევლა არ შეუძლია და რომელიც სიგრძით თითქმის ნახევარი ვერსი იქნება, თუმცა ყოველ ნაბიჯზედ მშვენიერი ფანრები დგას, მაგრამ მათი განათების მახსოვარი არავინ გახლავთ. სახუმრო საქმეა, ბატონო, რომ ქალაქის ხაზინას რამოდენიმე გირვანქა ნავთის ფასი მოაკლდეს? ხომ გაღარიბდება ქალაქი! ბნელაში ხშირათ მეფაიტონეები და მედროგეები ისრე გაიჭედებიან ხოლმე, რომ ქვეეთ კაცს გავლა არ შეუძლია; მიმართვენ ჩვენებურ მუშტის სამართალს, რადგან Uოთისთვის პოლიციელი ხომ იქ არ დააწესა ღმერთმა, საცა მათში საჭიროებაა. Uუ ხიდის განათება გეძნელებათ, ბატონებო, ურიგობა არ იქნეს მგონია მოგზაურების პოეზდების მოსვლის და წასვლის დროს მაინც დააყენოთ ხიდზედ ერთი თუ ორი პოლიციელი წესიერების დასაცველათ.

ჯ—ვედი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! წარსული კვირის „დროების“ № 41-ში წავიკითხე ჩემ შესახებ სტატია, ვითომც ნება ამელოს ჩემის მთავრობისაგან, შემეკრიბოს ფულები ქობულეთში აღსაშენებელის ეკკლესიისათვის და ეს ფულები არსად არ წარმედგინოს, არამედ მომეხმაროს ბოროტად და სხვა.

წამკითხველი რა ამ ვვარის უსაფუძლო ცილის-წამებისა ჩემზედ, ვალდებულად ვრაცხ ჩემ თავს ამ საგანზედ გამოვაცხადო საზოგადო მოსასმენად შემდეგი.

ქინტრიშის უჩასტკის ნაჩალნიკმა თვისის მოწერილობითა 29 ივნისიდამ 1879 წლისა № 900 გააგებია ბურიის ეპისკოპოსს, რომ ქობულეთში უმეტეს 1000 სულისა არიან მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, ეკკლესია არ ააქვსთ და ძლიერ საჭიროება არისო ერთის მხრით მათთვის და მეორეს მხრით ახალ შემოერთებულ ძველ ქართველთათვის ეკკლესიის აღშენებაო, და ამისთვის ითხოვა რაიმე შემწეობის აღმოჩენა. ბურიის ყოველად-სამღვდელომ, შემხედველმა ამ მიუცილებელ საჭიროებისა, გარდმომცა მე წიგნაკი და მომანდო ფულების შეკრება აღსაგებელად ქობულეთში ეკკლესიისა; ხუთი თუმანი თვითონ მისმა მეუფებამაც შესწირა. Uანახმად მონდობილებისა ჩემისა მეუფროსისა, მე შევკრიბე ამ კეთილ-საქმისათვის 553 მანეთი და 6 კაპეიკი, ყოველივე ანგარიში და წიგნიც მე უკვე დიდი ხანია წარუდგინე მთავრობას, ესე იგი 4 ივლისს წარსრულის წლისას; ამაზედ ეპარხიის უმფროსმა დანიშნა კომისია (დეკანოზი სიმონ ძიქოძე და მღვდელი ნიკოლოზ ინწკირველი) და შეამოწმებია, ხოლო წიგნი და ფული ბურიის საეკკლესიო ხაზინაში არის შენახული დრომდის.

საშინლად გაეკირვებული ვარ, ავტორი რომელმაც არ იცის არაფერი და არც არასფერი საბუთი არა აქვს, რაზე აფუძნებს თავის სტატიას, რომელიც სხვათა და სხვათა შეუსაბამო და ცრუ გარემოებითა გვიხსენიებს მეც და სხვებსაც ბურიისა ეპარხიის სამღვდელოებათა. ნათქვამია სოფლის ანდაზა: „სოფელი ვნახე უძაღლო, შით გავიარე უჯოხოო“.

იღუმენი გერასიმე (დარჩია).

ოზურგეთი, 15 მარტს.

უცხოეთი

საფრანგეთი. 6 მარტს ჩვეულებრივად პარიჟის კომუნის მომხრეებმა იდღესასწაულეს ქომუნის დღეობა.

Uოთხმა გაზეთმა იდღესასწაულა ეს დღე. Uს გაზეთები არიან: „პროდეტერ,“ „რეგოლიუციონ სოციალ,“ „სიტუაციონ“ და „უუგანეფ“. ბატ. „პროდეტერი“ ამ დღეს წითელ ქაღალდზედ დაბეჭდილი გამოვიდა. Uყველა ეს გაზეთები სასოებით იხსენებენ ქომუნას და ქებას ასხამენ რუსეთის რევოლიუციონერებს. Uაზეთი „რეგოლიუციონ სოციალი“ იწვევს 14 მომავალ ივლისისათვის მთელი ქვეყნის რევოლიუციონერებს ლონდონში მოსალაპარაკებლათ „მუშების ხალხთაშორის საზოგადოების“ აღსადგენათ.

— პარიჟში დაუტუსაღებიათ ერთი მუშა სახელად Uრევო, რომელიც აკრავდა ქუჩებში პროკლამაციებს; პროკლამაციებში რუსის რევოლიუციონერების მოქმედებას ქებით იხსენიებდნენ. Uამ გვარ პროკლამაციების აკვრა კიდევ გაუმეორებიათ 7 მარტს ღამეს და კიდევ დაუჭერიათ რამდენიმე დამნაშავენი..

— ზოგიერთს ფრანცუზულ გაზეთებში იწერებიან, რომ ახალ რუსის ხელმწიფის ცირკულიარმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა პარიჟშიო, რადგანაც მისი (ცირკულიარის) მშვიდობიანი მიმართულება ერთის მხრით Uერმანიასაც ამშვიდებსო.

— დეპუტატმა ლაროშ Uუბერმა შეიტანა წინადადება პალატში, რომ საფრანგეთის მოქალაქეთ მიენიჭოთ ყოველ გვარი ხარისხი, მხოლოდ იმ პირობით რომ მართებლობის სასარგებლოთ უნდა იხადოს: ვისაც სურს მიიღოს გერცოგის ხარისხი — 10,000 ფრანკი—წლიური ღალა; მარკიზის ხარისხის მიღებისათვის—5,000 ფ.; გრაფობის ხარისხისათვის—4,000 ფ.; ბარონობა ვისაც სურს—3,000 ფ. და ნაწილი Uე-ს მიმატებისათვის—2,000 (აზნაურობა). Uუმბერს გამოუანგარიშნია, რომ ეს ამ გვარი შემოსავალი მმართებლობის ხაზინას ყოველ წლივ ას მილიონ ფრანკამდე (40 მილიონ მანეთამდე) შეჰმატებს და ფული კეთილ საქმეეს საქმეებზე შეიძლება დაიხარჯოსო. ძალიან კარგი აზრია!..

—

ღარც ფეხებს მიათრევდა. Uვეგონა, უთუოდ ვისმეცთვის კბენის დროს, დაურტყამს ღა დაუბარბაცებია-თქო, მაგრამ მხლებელმა აგვიხსნა, რომ „ეგ მოხუცებულობისაგან არის მაგრეო, რვა წელიწადია ოთცხმოც-და-ათი წლის გახდა ფუტკრებმა გაანთავისუფლეს მუშაობიდამ, მაგრამ ძრიელ შრომის მოყვარულია და მეცამეტე გოჭივით ეჩრება და არ ანებებს სამსახურს თავსაო“. წარმოიდგინეთ ჩვენი გიკვირვება, როდესაც მხლებელმა დაგვაჯერა, რომ აქ რაც ამდენ ფუტკრებს და კოლო-ბუზებსა ხედავთ, ყველანი მაგის ჭკუით დაიარებიან,—უმაგისოთ ერთი ფეხის გადადგმაც არავის შეუძლია, რადგანაც როგორც 98 წლის ბებერს ყველაზე მეტი ჭკუა და ეშმაკობა აქვსო.“

Uველა ამ მეტის-მეტმა საუცხოო სანახაობამ არა-ჩვეულებრივ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, და მოვისურვეთ ამ ფუტკრებისა და კოლო-ბუზებისაგან შეწუხებული ხალხიც გვენახა.

Uა ვნახეთ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჭუჭყიან ქუჩებში ჭუჭყიანი მოსიარულე ხალხი და ამათში თითო-ოროლა ფაქიზათ ჩაცმულები, მაგრამ სამაგიეროთ ამათაც იმ ნაირი მყრალი სულის სუნი უდიოდათ, რომ ვთქვით: უკეთესი იქნებოდა, რომ ტანით სიფაქიზის მაგიერ სულები ფაქიზი ჰქონოდათ!?

Uავიწყეთ ქუჩა-ქუჩა ხეტიალი, შეგვხვდნენ რაღაც ცხოველები, რომლებიც მოყვანილობით ადამიანებსა ჰგავდნენ; მაგრამ ადამიანების არაფერი ეტყობოდათ. Uვითხრეს, რომ, ესენი ადამიანები არიან, მაგრამ თქვენ რომ ბაღში ფუტკრები ნახეთ, იმათი აჰხანაგები ამათ თაფლის საწუწკნავათ არიან გაფანტულნი და ხშირათ ჰკბენნენ—ასე, რომ სისხლიდან სწურავენ და ესენი იმ ფუტკრებისაგან ნაკბენები არიანო და მოსულან წყალში ჩასაცვენათ, მაგრამ ყოყმანობენ, რადგანაც მოგეხსენებათ სული ტკბილიაო.

Uვითხრეს კიდევ, რომ ხშირათ ამათი საცოდავი ბღარტები, წვიმაში და სიცივეში გარეთ გდებით, როგორც ზამთარში ბუზები ისე იხოცებიანო.

შეგვეცოდა ეს საცოდავი ადამიანის მგზავსი ცხოველები და მოვინდომეთ ამათთვის პური გვეყიდა. მივუახლოვდით ფურნეს; მოვიდა ერთი, წაგეჩურჩულა ყურში—„თუ ამ ქალაქის ბატონისაგან არ იყიდით პურს, დაგიჭერენო.“

„— Uმერთო შემეწიე“-თქო, პირჯვარის გამოსახვით ვსთქვი, აქ ვის რა უნდა, თუ ჩვენ პურს სად ვიყიდით, ან ვინ ქალაქის ბატონი,—ვინ ფურნე-თქო!?

Uამ ლაპარაკში ვიყავით, რომ უცებ ერთი ბზუილისა და ამბის ხმა მოგვესმა: ვნახეთ, რომ გამოექანნენ ჩვენკენ ის ჩვენი ნანახი კოლო-ბუზები და დაგვიწყეს კბენა. Uქვენი მტერი იყოს, რომ ჩვენ დაგვემართებოდა, თუ საზამთრო სქელი ტანისამოსი არ გვცმოდა: ხელებსა და პირს კბენით დაგვისიებდნენ! Uამათგანმა ერთმა ისეთი მიკბინა, რომ გამწარებული დავიყვირე:

„— მიშველეთ! მიშველეთ!

Uამ ყვირილზე ვნახოთ მოდის მეორე ოთახიდამ ჩემი გადია და მეუბნება: „Uაიღვიძე, გაიღვიძე, შენ კი გენაცვალოს შენი გადია! რა ნახე, გენაცვალე, სიზმარში, რომ მაგრე მწარეთ ჰყვირი?“ Uან მანძრევს, და ამ დროს ვიღვიძებ და ვხედავ, რას!.. Uმას, რომ რაღაც ჩამყოლია ფიქრში და თურმე ყველა ამათ ვხედავ, სიზმარში!...

უჩანო.

გერმანია. ნემეცურ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება გერმანიის იმპერატორისა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II მიცვალების გამო მგლოვიარებაზე:

„მსურს რა პატივი დავსდო, ჩემდა სამწუხაროდ, მიცვალებული იმპერატორის ალექსანდრე II-ის ხსენებას, ვამიცია ბრძანება მთელი მხედრობისათვის, რათა იგლოვონ ოთხი კვირის განმავლობაში. ამ ბრძანების გამოცხადების პირველ დღეს, არსად არ დაიკრას არც ბარაბანი და არც მუზიკა, არც ყარაულის გამოცვლის დროსაც. ამით ჩემი მხედრობა დაამტკიცებს, რომ ის თანამონაწილეა ჩემის მწუხარებისა ჩემ ერთგულ და გამოცდილ მეგობარზე და საყვარელ ბიძაშვილზე და მიცვალების შემდეგაც მიუძღვნის მას ღირსეულ მადლობას მისის გულკეთილობისა და ყურადღებისათვის, რასაც ის არ აკლებდა პრუსიის ჯარსა“.

ვილჰელმი.

თფილისის სამკურნალო

ავათმოფეები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს. გვრანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნავან ავათმოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავათმოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმოფობისა; შტემბორსკი ვენერიულ დატუკვის ავათმოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირუგიული ავათმოფ.; რეიხი — თვალების ავათმოფობისა; ბასუტოვი—ბუბაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმოფობისა; შტერნბერგი—ვენერიულ ავათმოფობისა,

ოთხშაბათს. კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტუკვის ავათმოფობისა.

ხუთშაბათი გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმოფ.; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავათმოფ.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და შტერნბერგი შინაგან ავათმოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმოფობის.

პარასკევს. მინკევიჩი—სირუგიულ ავათმოფობის; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმოფობისა; კრასნოგლაზიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათმოფობისა; შტემბორსკი — ვენერიული და ტუკვის ავათმოფობისა.

შაბათი. ლისიცოვი — შინაგან ავათმოფობის. რეიხი—თვალების ავათმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმოფობისა.

ობრესტი — ბილის ავათმოფეებს, მიიღებს თავის სახლში შუადამ დროს რდანიბებს საავათმოფოს ბარათებით.

განცხადებანი

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუნებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-საცხოტისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისა (გემრიელი კლუბნიკი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—39)

ქუთაისში

„ივ. ნიკოლაძე და შვილების“ მოდის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა ნაირი საქონელი **სადღესასწაულოდ** რომელიც 25% ნაკლებ იყიდება ვიდრე სხვა მაღაზიებში. იქვე იყიდება ჭორფლის წამალი და გამამშვენიერებელი ლეკანდეს.

(10—1).

თფილ. ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით ატყობინებს, რომ ამა წლის მარტის 26, შუადღეზე, იმის თანა-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) მიწის მუშაობის იჯარით გატანაზედ ანდრეევსკის, მალაკანებისა და ალექსანდროვსკის ქუჩებს შუა, კუკიაში, სამას (300) მანეთად კუბიკური საჟენის მიწის ამოღება. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (უპრავაში) მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ. (3—3)

ღვინის სახდელი მაშინები

ინჟინერ-მეხანიკის **ბარტ ა. ფოლსპერის სისტემისა**, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზაოდებზე, **მზადდება** თფილისში, ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მეხანიკურ სახელოსნოში.

დაწვრილებული ცნობის შეტყობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე **კარლ ნეიმანთან.** (11—4)

პარიკმახერს არსენს ქუთაისში

კოსმეტიურს

მადაზიაში

ეს-ეს არის მოუვიდა ბრიყვიდამ მრავალი გამამშვენიერებელი ნივთეულობა: სხვათა შორის სხვა და სხვა ნაირი ასდად მოგონილი თმის სადებავსი: „ოდეტიტერ“, „ოდალენს“ და „ოდანგლე“. მშვენიერი წამლები პირზედ დაყრილისა; სხვათა შორის ერთი სასელად „უებარი“, ძალიან სელ-მისაცემ თვასად.

ვიმედოვნებ, პატივცემული საზოგადოება ჩვენი მადაზიის მადლიერი იქნეს.

(10—6)

ხველის კამფეთები 40 კაპეიკიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციებისათვის—10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი

ინგლისის მაღაზიაში.

(20—5)

დიდ-ძალ საქონლის დასყიდვა

ფაბრიკის ფასებით, **ინგლისის მადაზიაში, არწრუნის** გალერეიაში.

იქვე ისყიდება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამებელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასამშვენებელად რძის, ნუმის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—4)

ინგლისის მადაზიაში

თმის ამოსაღებ-ელი ბაკ-ენას-ტერი

ამაგრების თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუნები და სხვ.

(150—43)

თესლები

ბოსტნეულობისა და ყვავილებისა

მიღებულია თესლების დეპოში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, ბალავინის პროსპექტზე, № 11, **ლარშეს** მაღაზიაში.

აქვე იშოვება კატალოღები თესლებისა. (10—10)

ბევრი ქრაოტები

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქალალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება **ინგლისის მადაზიაში.**

იქვე: პალტო 12 მან — დამ. შარვალები 4 მან — დამ. ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი; ციხტრინ ჩაი პირ-და-პირ მოსაველის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქალალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—9)

დასყიდვა ფასებით:

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიც უკელგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში. (20—9).

ყველაზედ უფრო ბევრი საქონელი კავკაზიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია,** არწრუნის გალერეიაში: ღირს სასასვავად.

ისყიდება საზამთრო მოსასურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფოდნოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 20—19

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ-ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო ბარნსლის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს ბრიყის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა ბრომატიული ჩაისა ღამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მადაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—39

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-საცხოცების, შჩოტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—43)

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. ბამბ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.